პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 35 (12243) | შაბათი, 10 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ღვაწლმოსილი

დურიფში დიდი სოფელია გუდაუთის რაიონში. იგი ცნობილია შრომისმოყვარე ადამიანებით. ამ სოფლის მრავალდარგოვანი კოლმეურნეობა მშრომელთა კეთილდღეობის, სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა.

მაგრამ მაინც მთავარია მეურნეობის სწორად გაძღოლა, ორგანიზატორული მუშაობა. ყოველთვის ასე ფიქრობდნენ და ფიქრობენ დურიფშელები.

ასე იყო ამ რამდენიმე წლის წინათაც. დურიფშელების არჩევანი მიდგა სოფლის, თავიანთი კოლმეურნეობის თავკაცის გამონახვაზე.

— ჩვენ ვენდობით ჩვენს თანამემამულეს, გამოცდილ სამეურნეო ხელმძღვანელს ვლადიმერ ლაკოიას — ერთხმად თქვეს კოლმეურნეებმა.

და მართლაც, კოლმეურნეობა აღმავლობის გზით წაიყვანა. ყოველთვის დიდი გადაჭარბებით სრულდება ჩაის ფოთლის კრეფისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები. ყოველწლიურად მატულობს საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

ამიტომ იყო, რომ სოფელ დურიფშის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებაზე ღვაწლმოსილი თავმჯდომარე ვლადიმერ ლაკოია დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ქრონიკული ბიბლიოთეკა

ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი,
ყოველი ერი შემინახავს დამახსოვრებით...

ა. ს. პუშკინი.

□ □ □

ა. ს. პუშკინის ძეგლი ქ. პუშკინოს ლიცეუმის პარკში.

ფოტო ს. სმირნოვისა.

გაბედული ნაბიჯებით, მუდამ წინ!

ჩვენი დიადი ქვეყანა გაბედული ნაბიჯით მიიწევს წინ შვიდწლედის ახალი ზღუდეების დასაპყრობად. წარმატებით ბოროცილდება სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საბჭოთა ხალხის წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს. ერთ თვეზე მეტი გავიდა ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდან. მოწინავე საწარმოთა კოლექტივები აქლაგ გაბედულად მიიწევენ წინ ახალი ზღუდეების დასაპყრობად. იმ საწარმოებში, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელობა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები უნარიანად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, დროს გაუსწრეს — სამშობლოს ვადაზე ადრე უპასუხეს იანვრის საწარმოო გეგმის შესრულება, ხოლო ცალკეული კომუნისტური შრომის ბრიგადები და დამკვრელები მარტის ანგარიშში მუშაობენ.

შრომა ახალი ძალით აზვირთდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში. მთელმა რიგმა საწარმოებმა არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანადღეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს დიდძალი პროდუქცია. მოწინავე საწარმოების მწყობრში მტკიცე ნაბიჯით მიიწევენ წინ თბილისელი კერამიკოსები და მანქანათმშენებლები, რუსთაველი მეცემენტეები, ჭიათურელი და ტყიბულელი მაღაროელები.

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში აითვისეს ბევრი ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება. შვიდწლედის მესამე წელს ახალი პროდუქციის ნომენკლატურაში შევიდა ცივნაგლინი და ციგეთმული ფოლადის მილები, დაჰზოტებული ლითონური მანგანუმი, მილების დამმუშავებელი ორშპინდელიანი დოლური ჩარხი, 4 და 8 კილოვატიანი ელექტრომოძრავმანქანები, ელექტრობურღები, ჩაის საკრეფი და ჩაის სასხლავი მანქანები, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალი ახალი სახის პროდუქცია.

მოწინავე საწარმოების გამართული, რიტმული მუშაობის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ შვიდწლედის მესამე წლის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა. წინა წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 8 პროცენტით გაიზარდა. ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ რესპუბლიკის მრეწველობის ზრდა უფრო სწრაფი ტემპით მიდის, ვიდრე ეს შვიდწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მაჩვენებელი უკეთესი იქნებოდა, რომ მოწინავე საწარმოების გვერდით ჯერ კიდევ არ იყოს ჩამორჩენილი ფაბრიკები და ქარხნები, მრეწველობის ზოგიერთი დარგები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა, ჯერ კიდევ დიდია ისეთ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, უშვებენ დიდ გადახარჯვას.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ სახალხო მეურნეობის საბჭო, მისი შესაბამისი სამმართველოები დამშვიდებით უყურებენ ჩამორჩენილ საწარმოებს, მის მესვეურებს. ზოგიერთი საწარმო წლობით ვერ ასრულებს გეგმებს, უშვებს დიდ გადახარჯვებს, მაგრამ საწარმოთა ხელმძღვანელები გულდამშვიდებული არიან, ნაკლებად ზრუნავენ ჩამორჩენის გამოსწორებისათვის.

მაგალითად, საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს ცხაკაიას ამრეშუმის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის დირექტორის ვ. დანელიას დაუდევრობითა და მოუქნელი მუშაობის შედეგად შეუწყნარებლად გაჭიანურდა ახალი მოწყობილობის დაყენება და გამართვა. ამის შედეგად გასული წლის დავალება ფაბრიკის კოლექტივმა 16 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს დაუკლო 1 მილიონ 700 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ასევე წარმოების ხელმძღვანელობის აშკარა დაუდევრობის შედეგად გასული წლის საწარმოო გეგმა სანანადგურად შეასრულა აბაშის ბამბის საქაღალდის ფაბრიკის (დირექტორი ა. ქოიავა) კოლექტივმა. საყვარელი სამშობლოს დაუკლო ათას ათას ოცეულზე მეტი ღირებულებისა პროდუქცია.

კოდა მუშაობას ვერც მსუბუქი მრეწველობის აამმართველოს საყაოსთა კოლექტივები დაიკვეხნიან. 27 საწარმოდან მეგეა ვერ აეაოოულა 4 საწარმომ. მათ ოოოოოოს ოამოოოოეს ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი (ოოფილი დიოოეკტოოო დ. დალაკიშვილი), თბილისის ტყავის პირველი ქარხანა (დირექტორი დ. თომაძე), ბათუმის ტყავის ოეხსაცმელ ქარხანა (დირექტორი გ. ალეაძე). აქ გეგეის შეუარულებლოოას ხელდეულეოა ნაკლებოოა ალიალებენ. ცხადია, ჩაოორჩეგეას ყოველთვის ალოუნაგავენ მიზეზს, მაგრამ მთავარია თავიდანვე ვფიქრობდეთ და ვზრუნავდეთ ხელისეაალელი მიზეზების აღოოფხვრისათვის.

აოის მეორე უკიდურესობაც. არიან საწარმოეაი, რომლებიც დიდი გაჭირვებით ასრულებენ გეგმას, მაგრამ უკვეეეი დიდ გადააოაკვას, ცუდია გამოშვეაოული პროდუქციის ხარისხი, სავაჭრო ორგანიზაციები უარს აცხადებენ ათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მიღებაზე. საწყობები გაჭედილია საკონლით, საწარმოები განიცდიან ფინანსურ სიძნელეებს.

როცა ანალიზს ვუკეთებთ შვიდწლედის მესამე წლისა და მიდდისარე წლის იანვრის შედეგებს, არ შეიძლება არ დავნაზოთ, რომ ძრეწველობის ყველა დარგში, თვითეულ საწარმოში არის რეზერვები ჩამორჩენის დასაძლევად, ახალ ჩარმატებათა მოსაპოვებლად. ახლა საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭოს შესაბამისმა სამმართველოებმა, სამინისტროებმა და ცალკეულმა უწყებებმა ამთავითვე მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენილი საწარმოების წამოწევისათვის. შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები, მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომელთა მოუქნელი მუშაობით წარმოება ჩამორჩება, უკან ეწევა რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელს.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში ყოველად შეუწყნარებელია ჩამორჩენილი საწარმოები. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ თვითეული საწარმო გეგმას ყოველთვიურად ყველა მაჩვენებლის მიხედვით ასრულებდეს.

შარშანდელი წლის მუშაობის ტემპი წელს აღარ გამოგვადგება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს ფართოდ დანერგოო ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, მოწინავეთა და ნოვატორთა შრომის მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ წარმოების საერთო მაჩვენებელი. ეს შესაძლებელია, ამის მაგალითს იძლევიან მოწინავე საწარმოთა კოლექტივები.

მხარი გავუწეროთ მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს, მივაღწიოთ საერთო აღმავლობას, გაბედული ნაბიჯით ვიაროთ წინ შვიდწლედის ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე

თბილისის კალინინის № 700 საარჩევნო ოლქში

კერჯინსკის სახელობის კლუბი საზეიმოდ იყო მორთული. გუშინ აქ მოვიდნენ კალინინის, 20 კომისრისა და საძგორის რაიონების საწარმო-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა წარმომადგენლები. დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჰაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის კალინინის № 700 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების ჩინასაარჩევნო საოლქო თათბირმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ხინოშვილმა. იგი სიტყვას აძლევს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ამხ. ა. რობაქიძეს.

— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის ჩინასაარჩევნო კრებამ, — ამბობს იგი, — ერთხმად მიიღო დადგენილება — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** ამხ. რობაქიძე თხოვნით მიმართავს თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭიროონ ამ კანდიდატურას.

ტრიბუნაზეა ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. მ. კოშელეკა.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის ჩინასაარჩევნო კრებამ, — ამბობს ორატორი, — კალინინის № 700 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** რწმენას გამოვთქვამ, რომ თათბირის მონაწილენი მხარს დაუჭერენ მის კანდიდატურას.

თათბირზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა — კოტორ-წინდის ფაბრიკის მოწინავე მუშამ ლ. ზიმინამ, მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. სუხიტაშვილმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის სამმართველოს განყოფილების უფროსმა ამხ. გ. მახარაძემ თავიანთ კოლექტივების სახელით ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი წამოყენებულ კანდიდატურას.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს მხარი დაუჭიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თბილისის კალინინის № 700 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად **გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილს** დასახელებას და სთხოვეს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ამ ოლქში.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

თბილისის ლენინის № 126 საარჩევნო ოლქში

გუშინ ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში ასობით ამომრჩეველმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 126 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების თათბირი.

თათბირი გახსნა ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შ. დოლიძემ.

სიტყვა აიღო თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. სარიმელა.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივმა, — თქვა მან, — თავის წინასაარჩევნო კრებაზე ლენინის № 126 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** რწმენას გამოვთქვამ, რომ თათბირის მონაწილენი მხარს დაუჭერენ მის კანდიდატურას.

თათბირზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა — ელექტროსაბურავების ფაბრიკის მოწინავე მუშამ ლ. ბოლოტნიკოვმა, ბოტანიკურ ბაღის ფოთლეულის ფაბრიკის ფოთლეულის ფაბრიკის ფოთლეულის ფაბრიკ



კუბა არ დათმობს თავისუფლებას!

კუბის რესპუბლიკა. კუბის შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფი ჰავანაში.

ფოტო სინხუა-საკდესისა.

ირიანი—ინდონეზიას!

საბჭოთა მთავრობის განცხადება დასავლეთ ირიანის შესახებ

საბჭოთა მთავრობას, რომელიც განუხრელად იცავს მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყნისა და ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების პოლიტიკას, არ შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება მშვიდობის საქმისათვის საშიშ მდგომარეობას, რაც შეიქმნა ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ ჰოლანდიის აგრესიულ მოქმედებათა შედეგად. ჰოლანდიის მთავრობა დიდი ხანია დაუნებით ურას ამბობს დასავლეთ ირიანის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრაზე და ახლა დაადგა პირდაპირი სამხედრო პროვოკაციების გზას. ამ ბოლო დროს დასავლეთ ირიანის რაიონში გადაპყავთ ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი კონტინგენტები. ერთ-ერთი ამგვარი ყველაზე უხეში აქტი იყო ჰოლანდიის სამხედრო ხომალდების მეკობრული თავდასხმა ინდონეზიის საპატრულო კატარღებზე გაშლილ ზღვაში.

მიმართავს რა ასეთ აქტებს ინდონეზიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჰოლანდია ცდილობს გაახანგრძლივოს თავისი კოლონიური ბატონობა დასავლეთ ირიანში, აგრეთვე შეინარჩუნოს ინდონეზიის ეს ტერიტორია როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო ბლოკების დასაყრდენი პუნქტი მათ ბრძოლაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ჰოლანდიის ასეთი მოქმედება უხეშად ეწინააღმდეგება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის ძირითად დებულებებს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო. როგორც ცნობილია, ამ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ყოველი ცდა, რომლის მიზანია ნაწილობრივ ან მთლიანად შეაფიოს ქვეყნის ეროვნული ერთობა და ტერიტორიული მთლიანობა, შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებთან და პრინციპებთან. ჰოლანდიის მთავრობის საქციელი მოწმობს, რომ იგი არ უწევს ანგარიშს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს და ხალხთა ნებას ბოლო მოუღოს დრომოჭმულ კოლონიურ სისტემას.

რით აიხსნება, რომ ჰოლანდია დღემდე უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ, რომელსაც ბრძანდება ამოქმედებულება აქვს დასავლეთ ირიანთან? ეს შეიძლება აეხსნათ მხოლოდ იმით, რომ მის ზურგს უკან, ისევე როგორც პორტუგალიელ და სხვა კოლონიზატორთა ზურგს უკან, დგანან ისეთი აგრესიული სამხედრო ბლოკები, როგორიც არის ნატო და სეატო, რომლებიც ახორციელებენ კოლონიური სისტემის ნაშთების შენარჩუნების პოლიტიკას, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით უურადღებას იპყრობს ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტის სარდლის განცხადება იმის შესახებ, რომ ინდონეზიასა და ჰოლანდიას შორის საომარი მოქმედების შემთხვევაში ამერიკის საბრძოლო-საზღვაო ძალები ჩაებმებიან საქმეში.

ცნობილია, რომ მრავალი წლის მანძილზე ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა მოთმინებით ცდილობდა მოლაპარაკების გზით მოეწესრიგებინა დავა ჰოლანდიასთან დასავლეთ ირიანის გამო. ინდონეზიის მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს ჰოლანდიის მმართველი წრეები მუდამ უპასუხებენ უარით, პროვოკაციებით, ძირგამომთხრელი მოქმედებით. ყოველივე ამაზე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ გამოიწვიოს შესაბამისი კანონიერი ღონისძიებანი ინდონეზიის მთავრობის მხრივ.

ჰოლანდიის მთავრობამ წამოაყენა დასავლეთ ირიანის მოსახლეობისათვის ეგრეთწოდებული „თვითგამორკვევის უფლების“ მინიჭების იდეა. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ დასავლეთ ირიანის მოსახლეობამ მთელ ინდონეზიელ ხალხთან ერთად გადაწყვიტა თავისი ბედი 1945 წლის 17 აგვისტოს ისტორიულ დღეს, როცა ჰოლანდიის ყოფილი ოსტ-ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა ინდონეზიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. რა მანევრებსაც უნდა მიმართონ ჰოლანდიის მმართველმა წრეებმა, ჰოლანდია იძულებული იქნება დატოვოს მის მიერ ოკუპირებული ინდონეზიის ტერიტორია.

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმ უდავო მდგომარეობას, რომ დასავლეთი ირიანი ინდონეზიის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და მხარს უჭერს ინდონეზიელი ბალხისა და მისი მთავრობის კანონიერ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ დასავლეთი ირიანი დაუყოვნებლივ შეუერთდეს ინდონეზიას, მოისპოს ჰოლანდიის კოლონიური ბატონობა ინდონეზიის ტერიტორიის ამ ნაწილზე. საბჭოთა ხალხს თავის მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის მოსპობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. იგი ღრმა გაგებით და გულწრფელი თანაგრძნობით ეკიდება ინდონეზიელი ხალხის სამართლიან ბრძოლას დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ჰოლანდიის იმ წრეების ყურადღება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მისი პოლიტიკისათვის, მიაქციოს იმას, რომ ინდონეზიის მიმართ პროვოკაციების გზაზე დადგომით ისინი სერიოზულ პასუხისმგებლობას კისრულობენ შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ პოლიტიკას. ჩვენს დროში, როცა ერთი ნაპერწკლისაგან შეიძლება გაჩაღდეს დიდი ხანძარი, ცეცხლთან ასეთი თამაში, მსოფლიოს რომელ ნაწილშიც უნდა ხდებოდეს ეს, მეტად საშიშია. სიტუაციამ, რომელიც ახლა შეექმნა დასავლეთ ირიანის რაიონში, არ შეიძლება არ გამოიწვიოს სერიოზული შეშფოთების გრძნობა სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც გულწრფელად დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, და რა თქმა უნდა, მათ არ შეუძლიათ დარჩნენ გარეშე მაყურებელნი პროვოკაციებისა, რომლებიც მიმართულია ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ინდონეზიის ხალხი გაიმარჯვებს თავის სამართლიან ბრძოლაში.

სანტ-იაგო დანტესი:

უსარგებლოა ძალის გამოყენება

ბუენოს-აირესი, 9 თებერვალი. (საკდესი). ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სანტ-იაგო დანტესმა გაილაშქარა სამხედრო ინტერვენციის, აგრეთვე კუბის მიმართ ეკონომიური და დიპლომატიური სანქციების წინააღმდეგ. დანტესი იცავდა ჩაურევლობის პრინციპებს, და კვლავ გაილაშქრა კუბის იზოლაციის დროს წინააღმდეგ. დანტესმა აგრეთვე მხარი დაუჭირა მშვიდობიან შეჯიბრებას სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებს შორის. „ამ თვალსაზრისით, — თქვა მან, — ჩვენს კონტინენტზე სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის საკითხი სრული ობიექტურობით უნდა განვიხილოთ. იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ დასავლეთის ცივილიზაციის იდეალებისათვის, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ აზრს, რომ უსარგებლოა ძალის გამოყენება, რადგან ჩვეულებრივ ასეთ პოლიტიკას მოსდევს, როგორც გარდუვალი რეაქცია, სხვა ძალმომრეობითი ღონისძიებანი“.

დანტესმა მოითხოვა „ვესწრაფოდეთ არა საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, არამედ შენელებას“.

იაპონელ სტუდენტებს არ სურთ მოუსმინონ რობერტ კენედის

„მე ვიყავი, ვარ და ვიქნები კომუნისტი“

ბერლინი, 8 თებერვალი. (საკდესი). პრესის ცნობით, ბრალდების წარმომადგენელმა ელფრიდა ლედვონის სასამართლო პროცესზე დორტმუნდში მოითხოვა გერმანელ პატრიოტ ქალს მიესაჯოს 10 თვის პატიმრობა.

ე. ლედვონმა, რომელსაც მიეცა სამოლოო სიტყვა, მოსამართლეებს განუცხადა: „მე ბრალს მდებენ, რომ გერმანიის კომპარტიის წევრი ვარ. მე ვიცავდი თავისუფლებასა და დემოკრატიას. ამას ვშვრებოდი ჯერ კიდევ ნაცისტური რეჟიმის დროს, როცა ადამიანები, რომლებსაც ახლა წამყვანი პოსტები უკავიათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მხარს უჭერდნენ იმ რეჟიმს. ჩემი მსოფლმხედველობა ჰუმანურობისა და ხალხთა მეგობრობის მსოფლხმედველობაა. მე ვიყავი, ვარ და ვიქნები კომუნისტი“.

გერმანიის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის) ქალთა დემოკრატიული კავშირის გამგეობამ დორტმუნდის სასამართლოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მტკიცეა პროტესტს აცხადებს ელფრიდა ლედვონის დევნის წინააღმდეგ. „ჩვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალები, — ნათქვამია დეპეშაში, — აღშფოთებული ვართ იმით, რომ დასავლეთ გერმანიაში ასამართლებენ ადამიანებს, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდნენ მშვიდობისათვის, ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის“.

ე. ლედვონისათვის გაგზავნილ წერილში კავშირის გამგეობა ღრმა სოლიდარობას უცხადებს მამაც პატრიოტს.

იამაიკა მოიპოვებს დამოუკიდებლობას

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). იამაიკა, რომელიც ყველაზე დიდია კარიბის ზღვაში ინგლისის კუთვნილი კუნძულებიდან, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება 1962 წლის 6 აგვისტოს. ეს გამოაცხადეს გუშინ იამაიკის კონსტიტუციის საკითხის შესახებ მოწვეულ კონფერენციაზე ლონდონში.

ტელეგრაფი გვაცნობებს

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, ატომური ენერგიის კომისიამ დღეს გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი შეთანხმდნენ მოაწყონ ინგლისის ატომური მოწყობილობის ერთობლივი გამოცდა ამერიკის მიწისქვეშა პოლიგონზე ნევადის შტატში. როგორც კომისიის თავმჯდომარემ სიმორგმა განაცხადა, გამოცდის მოწყობის ნებართვა დართო პრეზიდენტმა კენედიმ ინგლისის მთავრობის თხოვნით. გამოცდა მოეწყობა უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ფოგის კუნძულის ტრაგედია

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა დღეს თემთა პალატაში გამოაცხადა, რომ ინგლისი აპირებს მოაწყოს ატომური მოწყობილობის მიწისქვეშა გამოცდა. ინგლისის ატომური იარაღის ეს გამოცდა, თქვა მან, მოაწყობა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ნევადის შტატში უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში.

მაკმილანმა განაცხადა აგრეთვე, რომ ვაშინგტონში განხილება შეთანხმება იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობამ მისცეს შეერთებულ შტატებს შობის ჯეჯილი ატომური იარაღის გამოცდის მოსაწყობად.

მაკმილანმა გაამართლა შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის განახლების საკითხში, და აღტაცებდა, რომ პრეზიდენტი კენედი და თვითონ იგი „მეტად დამწუხრებული არიან“ გამოცდის მოწყობის აუცილებლობის გამო.

ამის პასუხად ლიბერალიტული ოპოზიციის სკამიდან გაისმა შეძახილები: „ბაშ ჩატომ უნდა განაახლოთ გამოცდა?“

ლიბერალიტული პარტიის ლიდერმა გეიტსკელმა მოსთხოვა მთავრობას, რომ ატომური იარაღის ატომსფეროში გამოცდის განახლების გადაწყვეტილება გადაიდოს, სანამ გაიმართებოდეს მოლაპარაკება ენენევაში. მაგრამ მაკმილანმა უარი თქვა ასეთი აღთქმის მიცემაზე.

მთავრობის მიმართ მკვეთრი კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდნენ ლიბერალიტული პარტიის ლიდერის მოადგილე ჯორჯ ბრაუნი და თემთა პალატის წევრი ლიბერალიტები ტომ დრაიბერგი და ფენერ ბროკუეი. ოპოზიციის წარმომადგენელთა აღშფოთებულ შეძახილებში: „თვითმკვლელობა!“ ლიბერალიური პარტიის ლიდერმა გრიმონდმა თქვა, რომ მაკმილანმა გააკეთა „შემაშფოთებელი განცხადება“.

პარლამენტის წევრმა ლიბერალიტებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაიწყოს კამთა ატომური იარაღის გამოცდის საკითხზე და იმის შესახებ, რომ შობის კონძული გადაიცეს შეერთებული შტატების განკარგულებაში ატომური იარაღის გამოცდის განსახორციელებად ატომსფეროში. მაგრამ თემთა პალატის სპიკერმა, ოპოზიციის წარმომადგენელთა მძაფრი პროტესტის მიუხედავად, უარყო ეს მოთხოვნა.

ჯაკარტა მოიყვანს ჯარებს

ჯაკარტა, 8 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება: სასამართლო ინსცენირება, რომელიც დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ მოაწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საავიო წარმომადგენლობის თანამშრომლის ინერერ ვ. ა. პრიპოლცევის მიმართ, სულ უფრო სკანდალურ ხასიათს იღებს. ყველა მთავარი „მოწმე“ აღმოჩნდა დასავლეთ გერმანიის საიდუმლო პოლიციის — ეგრეთწოდებული „კონსტიტუციის დაცვის უწყების“ აგენტი. სწორედ ამ უწყების დაქირავებული აგენტებისა და პროვოკატორების „ჩვენებებზეა“ აგებული მთელი ბრალდება საბჭოთა მოქალაქის წინააღმდეგ.

„მოწმე“ ჰეკმანის დაკითხვის მსვლელობაში გამოირკვა მეტად დამახასიათებელი დეტალი: ჰეკმანი იძულებული იყო ეღიარებინა თავისი კავშირი დასავლეთის ერთ-ერთ სადაზვერვო სამსახურთან. თვით ჰეკმანის სიტყვით, 1952-დან 1958 წლამდე იგი იყო ამერიკელ ხელისუფალთა სამსახურში დასავლეთ გერმანიაში.

„კონსტიტუციის დაცვის უწყების“ აგენტია აგრეთვე მეორე მთავარი „მოწმე“ — ფრიდრიხ იანდე. მან სასამართლოში განაცხადა, რომ დაკავშირებულია ამ უწყებასთან და კონტაქტი აქვს მასთან.

სასამართლოს ცდას უცილობელ საბუთად გაესაღებინა ბრალდების მიერ წარდგენილი ეგრეთწოდებული „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები“ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ვ. ა. პრიპოლცევმა. წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, განაცხადა მან, რომ ყველა ეგრეთწოდებული „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი“ ყალბია.

„კონსტიტუციის დაცვის უწყებასთან“ ჰანოვერში დაკავშირებულია აგრეთვე „მოწმე“ ფრაკე. ბრალდების უკანასკნელი „მოწმე“ იყო ეგრეთწოდებული „უშიშრობის ჯგუფის“ თანამშრომელი კერდერი.

უბადრუკად გამოიყურებოდა ბრალდების წარმომადგენლის გამოსვლა სასამართლოში. მთელი მისი საბუთები ამოიწურებოდა „მოწმეების“, ე. ი. დასავლეთ გერმანიის საიდუმლო პოლიციის აგენტების უსაფუძვლო მტკიცებათა განმეორებით. ვერავითარი კონკრეტული მონაცემი, რომელიც ბრალდების სასარგებლოდ ლაპარაკობდეს, მან ვერ მოიყვანა. მიუხედავად ამისა ბრალდების წარმომადგენელი უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ „მოწმეთა ჩვენებები“ თითქოს ცხადყოფენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლის „დაზვერვითს“ და „უკანონო“ საქმიანობას. მან მოითხოვა, რომ სასამართლომ ვ. ა. პრიპოლცევს მიუსაჯოს 4 წლის პატიმრობა.

ოსლოს ეკონომიკური ბლოკადა

ოსლო, 8 თებერვალი. (საკდესი). ნორვეგიის ეკონომიკური ბლოკადა, ინგლისის ადმირალ ბეტი ჰოლანდ-მარტინის ბრძანებით, ოსლოს ნავსადგურში ამ თვის 1-ელ ნახევარში ინგლისურ ხომალდებზე ტვირთის ასაღებ-ჩამოსაღებ სამუშაოებს ეწინააღმდეგებოდა. ინგლისელ ადმირალ ბეტი ჰოლანდ-მარტინის ბრძანებით, ინგლისურ ხომალდებს ოსლოს ნავსადგურში ტვირთის ასაღებ-ჩამოსაღებ სამუშაოებზე ეკრძალებოდა ინგლისელ ბანკირ ბანკებისგან ფინანსური დახმარების მიღება.

ინგლისელ ბანკირ ბანკებს

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ინგლისელ ბანკირ ბანკებს ეკრძალებოდა ინგლისელ ბანკირ ბანკებისგან ფინანსური დახმარების მიღება.

ეგვიპტე ინგლისელ ბანკებს

ეგვიპტე, 8 თებერვალი. (საკდესი). ეგვიპტე ინგლისელ ბანკებს ეკრძალებოდა ინგლისელ

ეროვნული ენციკლოპედია

ეროვნული პოეზიის მზე

ხელთუქმნელი ჩანგის მფლობელი

თოთხმეტიოდე წლის წინათ — ალ. ყაზბეგის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით — ყაზბეგში ჩავედი. იქ რამდენიმე დღეს დავრჩი. შემოვიარე ხევის ყველა სოფელი და კოლმეურნეებს ვესაუბრე სახელოვანი წინაპრის, დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

გულახდილად უნდა ვაღიარო: პირდაპირი მოვალეობის გარდა, აქეთ ყოველთვის მიზიდავდა მდიდარი პოეზიის სამყარო, რომელიც ოქროს შარავანდედით მოსავს ამ, მართლაც, კურთხეულს და ზღაპრული სილამაზის მხარეს. პუშკინი, ლერმონტოვი, ილია, ვაჟა, ყაზბეგი — აი ვინ მიწვევდა აქეთ და ვისი პოეზიით ვსუნთქავდი, როცა თერგის ნაპირს ჩავუვლიდი ანდა აღმართ-აღმართ მთის კალთებზე ავდიოდი.

ერთ დღეს დილა თავისუფალი მქონდა. ვისარგებლე შემთხვევით და ტურისტებს მყინვარწვერისკენ გავყევი. სამი საათის სიარულის შემდეგ თოვლის ზონიდან უკანვე გამოვბრუნდი — ტურბაზაში შეხვედრა გვქონდა უკრაინიდან ახლადჩამოსულ ამხანაგებთან. ჩამოვიარე სამების მთა და, ცოტა რომ ჩამოვიაკე, წინ ახალგაზრდა მოხევის ქალი შემომხვდა — „ცხვარში მიდიოდა“.

უნებლიეთ მომაგონდა პუშკინის ლექსი „პასუხად ტუმანსკის“:

არა, ჩერქეზი იგი არ არის,
თუმც ქართლის ბარში ღასაბამიდან —
არ ჩამოსულა ასე ნარნარი
ასული — პირქუშ ყაზბეგის მთიდან.

არა მის თვალში გიშერი არ კრთის,
მაგრამ მე მაინც უცილოდ მჯერა —
მის უტკბეს თვალთა სხივებად არ ღირს
აღმოსავლეთის საუნჯე ყველა!

ეს ლექსი დაწერილია 1826 წელს — საქართველოში პუშკინის ჩამოსვლამდე. როგორც თვით ლექსის შინაარსი გვიჩვენებს, პოეტი აქ ადიდებს ქართველი ქალის მომხიბლავ სილამაზეს, და მას აღმოსავლეთის ყველა საგანძურზე მაღლა აყენებს. არანაკლებ საინტერესოა მეორე ლექსი: „არა, ლამაზო, ნუ გამაგონებ ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს“. ბელინსკის აზრით, ორივე ამ ლექსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პუშკინის სატრფიალო ლირიკაში.

მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის რუსეთსა და საქართველოში ეს ლექსი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა...



1829 წელს ა. პუშკინი კავკასიაში ჩამოვიდა... არზრუმისაკენ მიმავალი პოეტი გზაში სოფელ გერგერთან შეხვდა ურემს, რომელთაც თეირანში ვერაგულად მოკლული გრიბოედოვის ნეშტი მოჰქონდათ.

მხატვარი ა. ქროტკოვი.

ალექსანდრე პუშკინმა პირველად დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსული ლექსისა და სიტყვიერებისა.

ილია ჭავჭავაძე.

რუს მგოსანთაგან არც ადრე და არც შემდეგ არავინ პუშკინზე უფრო არ ჩასწვდომია „ლექსის ჰარმონიის ღვთაებრივ საიდუმლოებას“.

ნიკო ნიკოლაძე.

...ქართველთათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრიად დიდია: ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რამ ესწავლოს და პუშკინის მუზას არ დასწფეზოდეს...

გაზეთი „ივერია“.

პუშკინის პირველი ბიოგრაფის, ანენკოვის, ცნობით, პოეტს ეს ლექსი დაუწერია კომპოზიტორ გლინკას მიერ ფორტეპიანოზე შესრულებული ქართული მელოდიის მოსმენის შემდეგ.

თვით გლინკას კი ეს მელოდია პირველად გაუგონია ნინო ჭავჭავაძის მეუღლის, პოეტ გრიბოედოვისაგან, რომელიც, ამავე დროს, მუსიკოსიც იყო.

გლინკას შემდეგაც, ამ ლექსის ღრმა ემოციურობამ და დიდმა მუსიკალობამ მრავალი კომპოზიტორი აღავსო პოეტური შთაგონებით. იგი ოცამდე ავტორს აქვს მუსიკაზე გადატანილი.

ამ ლექსის ღრმა ლირიზმი და დრამატიზმი გვაფიქრებინებს, რომ იგი, როგორც პუშკინის თითქმის ყველა ლირიკული ლექსი, დაკავშირებულია პოეტის ბიოგრაფიასთან და გადმოგვცემს მგოსნის მიერ წარსულში, ახალგაზრდობისას განცდილ პოეტურ ასოციაციებს.

ასევე შეიძლება ითქვას პუშკინის ლირიკის მეორე შედევრზე — „საქართველოს მთებს მწუხრის ჩრდილი გადაჰფენია“. აქაც — საქართველოს მთების ულამაზესმა პეიზაჟმა, მოგუგუნე არაგვმა, ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამ— შთაგონა პოეტს უმშვენიერესი ქმნილება, რომელიც ასე ნათლად და ღრმად გადმოგვცემს საყვარელ არსებასთან შეერთების ძლიერსა და ამაღელვებელ გრძნობას.

საქართველოს თემაზე დაწერილი ლექსებიდან გამოირჩევა „კავკასიონი“ და „ზვავი“. ორივე ამ ლექსის თემაა ბუნების სტიქიურ ძალთა ბრძოლა და დაწერილია მთის პეიზაჟის უშუალო განცდით. აქ მდიდარი სალებავებით გადმოცემულია კავკასიის მთების უნიკალური სურათი.

„კავკასიონში“ პოეტი ახდენს ბუნების სურათების განზოგადებას, უპირისპირებს მათ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებას.

ლექსის ბოლო სტროფში — თერგის რკინის გალიაში მომწყვდეულ მხეცთან შედარებით—პუშკინი ალეგორიულად გვიხატავს კავკასიის ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ეს ჩანს პუშკინის ხელნაწერებში შემონახული ლექსის ბოლო სტროფიდან:

ასე, მდუმარე, დღეს კავკასი უსიტყვოდ
შფოთავს,
გარეშე ძალნი მძიმე ტვირთად თავს
დასწოლია!

კავკასიის ციკლის მეორე საუკეთესო ლექსში „ზვავი“ დახატულია უზარმაზარი ზვავის მოსხლეტა კავკახიონის მთიდან.

აქ დახატულ სურათს, პროზის ენით, აი როგორ გადმოგვცემს პოეტი „არზრუმს გამგზავრება“-ში: „გზა მიდიოდა ზვავზე, რომელიც, 1827 წლის ივლისის დამლევს ჩამოწოლილიყო. ზევიდან წამოსულ უზარმაზარ ზვავს მთელ შვიდ ვერსზე ამოუვსია ხეობა და დაუგუბებია თერგი... თერგი სწრაფად ილეოდა და 15 წუთში მთლად დაწრეტილა. მდინარეს ზვავი მხოლოდ ორი საათის შემდეგ გაურღვევია. შესაზარი ყოფილა თურმე!“.

ახლა გადავხედოთ ლექსს.

ვფიქრობთ, ბუნების სტიქიურ მოვლენაზე მსოფლიო პოეზიაში ბევრი არ იქნება ისეთი ლექსი, სადაც პოეტი ასე ოსტატურად იყენებდეს მდიდარ გამომსახველ საშუალებებს. აქ პუშკინი გვიჩვენება ლექსის ნამდვილ ვირტუოზად. ამ ლექსის შექმნაში შეერთებულია მაგიური ძალა ფერმწერი მხატვრისა, პოეტისა და მუსიკოსისა.

ლექსში „მონასტერი ყაზბეგზე“ პოეტი აგვიწერს სამების მთას და ოცნებობს ახალ, უკეთეს, თავისუფალ ცხოვრებაზე.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, პუშკინს მტკად ხიბლავდა ქართული მელოდიები, რომლებიც მან პირველად გრიბოედოვისაგან მოისმინა. ქართულ სიმღერებს უფრო ახლოს გაეცნო იგი საქართველოში ჩამოსვლისას, თბილისში შეჩერების დროს.

შემდეგაც, არზრუმიდან დაბრუნებისას, პოეტი თბილისში კიდევ რამდენიმე ხანს დარჩა.

ქართველი მოწინავე საზოგადოება ჩვეული სტუმართმოყვარეობით შეხვდა საპატიო სტუმარს. იწვევდნენ ბანკეტებზე, აჩვენებდნენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ასმენინებდნენ ქართულ სიმღერებს, „ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოა“ — ამბობდა იგი. თვით ქართველ საზოგადოებას პოეტი „თავაზიან და მხიარულ საზოგადოებას“ უწოდებს.

პუშკინმა შეიყვარა ჩვენი ქვეყანა როგორც თავისი მეორე სამშობლო. საქართველოდან გამგზავრების შემდეგ პოეტმა შთაბეჭდილება ჩვენს სამშობლოზე გაუზიარა თავის დისწულს — პავლიშჩევს: — წარმტაცი ქვეყანაა — თქვა პუშკინმა. — რამდენად აღვივსე ჭეშმარიტი პოეზიით, რამდენი სხვადასხვა შთაბეჭდილება განვიცადე! თბილისიდან გამოსვლისას მწუხარედ ვამბობდი: „მშვიდობით, საოცნებო მხარევ!“.

თავისი მხრით, არც ქართველი საზოგადოება დარჩენილა დიდი პოეტის ვალში!

პუშკინი უდიდესი სიყვარულით სარგებლობს საქართველოში. მის პოეზიას და პროზას თარგმნიდნენ ქართველი მწერლები, მოყოლებული თეიმურაზ ბატონიშვილისაგან და დამთავრებული თანამედროვე საბჭოთა პოეტებით.

დღემდის, ცალკე გამოსულ წიგნების გარდა, ქართულ ენაზე თარგმნილია და გამოცემული გენიალური პოეტის ნაწერები (ლექსები და პროზა) ოთხ ტომად.

არ შემცდარა მაქსიმ გორკი, როდესაც თქვა: პუშკინი ყველა ხალხს ეკუთვნის. დიახ, პუშკინის სახელი ქართველი ხალხისთვისაც მუდამ ძვირფასი და საყვარელია!

ვასო გორგაძე.



პუშკინი უმღერიდა საქართველოს

კავკასიონი

მე გადავცქერი კავკასიონს, და ვდგევარ სამშიშ
ნაპრალის პირად — მყინვარების და თოვლის ზევით:
გადაღმა კლდეზე წამოფრინდა არწივი რხევით,
მე გამისწორდა და უძრავად ელვარებს ცაში.
ვიდევ ასტეხა ნიაღვარმა თავის ზვირთები,
და პირველ ზვავთა მოძრაობას მე ვაკვირდები.

ქვევით ღრუბლები თითქოს არსად მიიჩქარიან,
მათ ჩანჩქერები ხლეჩავენ და სცვივიან, ხრაშში;
შიშველი მთები ჩასდგომიან ერთმანეთს მხარში;
სულ ძირს კი ხავსი, ხრიო

და ეკალნარია;
და სადაც მუხნარს არე მწვანეთ დაუბურია,
ჩიტების სტვენა და ირმების თქარათქურია.

მთებში კი, როგორც ბუდეებში მრავალი ორბის
სახლები ჩანან... კალთებს ცხვარი შემოსვია.
ნათელ მიდამოს აგერ უკვე მწყემსიც სწვეია,
ჩრდილიან ხევში აწყვეტილი არაგვი მორბის.
ბედკრულ ცხენოსანს მოუნახავს კლდეში კარავი,
განგაშებს თერგი გულზვიადი და შემზარავი.

თამაშობს, ღმუის, როგორც მხეცი, რომელიც ბორკავს,
თუ შეიყნოსა გალიაში საძიძგნი ლეში;
ვეღარ ეტევა თავის ვიწრო საპყრობილეში
და მშიერ ზვირთით გარინდებულ ნაპირებს ლოკავს.
ამაოდ. მისთვის აღარც საზრდო, შეელაც როდია,
მისთვის კლდეები შემზღუდველი კალაპოტია.

ასე სილაჩუს სულს უხუთავს კანონი ავი,
ასე კართების ქვეშ ღონდება ველური ტომი,
ასეგე ბრაზობს დღეს კავკასი მდუმარედ მდგომი,
ასე სურს უცხო ძალებისგან დაიხსნას თავი.

1829 წ.

საქართველოს მთებზე

საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰფენია,
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე,
ჩემი მოწყენაც იოლია — ის ნათელია
შენის მშვენებით და შუქით სავსე.

აღსავსე შენით, მხოლოდ მშვიდობა — სიჩუმე დადგა
და აღარავინ მილვიძებს დარდებს,
და ისევ იწვის ჩემი გული, და უყვარს რადგან
არ შეუძლია რომ არ უყვარდეს.

1829 წ.

თარგმანები პაოლო იაშვილისა.

მონასტერი მყინვარზე

მყინვარო, მთების ოჯახთა ზევით,
სამარადისო სხივების ფრქვევით,
ბრწყინავს მეფური შენი კარავი,
ღრუბლების მიღმა თავშემფარავი.
ცივ სიმაღლეში ოდნავის ჩენით
იქ მონასტერი ირკვევა შენი,
ვით კიდობანი ცად აზიდული.
ო, სანუკვარი შორი კიდური!
ნეტამც შემეძლოს დავაგდო ხევი,
თხემი ვიხილო თვალუწვდენ მთისა
და ყრუ სენაკში, ღრუბელთა ზევით,
გადავიმალო მეზობლად ღვთისა!

1829 წ.

თარგმანი კონსტანტინე ბიჭინაძისა.

ქებლი ავიგე ხელთუქმნელი, მარად უკვდავი...

ა. ს. პუშკინი.

მარად უკვდავი დიდება

1829 წელს, თუმცა მთავრობა უკრძალავდა, პუშკინი ჩავიდა საქართველოში. პუშკინზე წარუშლელი მთაბეჭდილება მოახდინა საქართველომ. ყველაფერი აინტერესებდა პოეტს აქ— ყოფა, ჩვეულება, არქიტექტურა, ფოლკლორი.

თბილისში მას მოუწყეს ყველაზე გულთბილი შეხვედრა. ქართველმა და რუსმა ახალგაზრდობამ . მის პატივსაცემად მოაწყო დღესასწაული.

„კავკასია“, „ბრმამ“, „მოგზაურობა არზრუმში“ და სხვა ნაწარმოებები შეიქმნა ამ მოგზაურობის შედეგად.

130 წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ისტორია ფაქიზად ინახავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია კავკასიაში პუშკინის ყოფნასთან.

პუშკინი უკვდავია. გვგონია, რომ იგი ჩვენს რიგებში დგას და ჩვენთან ერთად იბრძვის ჩვენი საქმისათვის. არა, კი არა გგონია, არამედ ეს ასეა არის სინამდვილეში.

საბჭოთა პუშკინმცოდნეობის ცენტრად იქცა ლენინგრადი — ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პოეტი. აქ ის ხვდებოდა თავის მეგობარ დეკაბრისტებს. და აქვე, ჩორნაია რეჩკაზე, სადაც ახლა აღმართულია სამახსოვრო ობელისკი, შედგა მისი საბედისწერო დუელი, აქ, ნევის ქალაქში, გრძნობ ცოცხალი პოეტის უხილავ ყოფნას. ეს გასაგებიც არის — სიკვდილი უძლურია მასთან, პუშკინის საკაცობრიო დიდებამ მხოლოდ ახლა მიაღწია თავის ზენიტს. კარგად თქვა პუშკინზე ჩინელმა პოეტმა აი ციმბა: „სუფკუნე გვაშორებს შენგან, ჩვენ კი მხოლოდ ერთი დღე გვგონია“.

მაგრამ მოდით, ვიმოგზაუროთ დღეს ლენინგრადის იმ ადგილებში, რომლებსაც წილად ხვდა მუდამ ინახავდნენ პუშკინის ხსოვნას.

ძველებურ ბუხარზე ძველებურივე უტყვი საათია. მისი ისრები მუდამ გვიჩვენებენ 2.45-ს—დროს, როდესაც ამ ოთახში, სწორედ ამ სავარძელში, წიგნის თარეების გარემოცვაში შეწყდა დიდი პოეტის სიცოცხლე. ჩვენ ვართ ა. ს. პუშკინის კაბინეტში, სადაც ყველაფერი — მისი საწერი მაგიდა, კარადა ხელნაწერებისათვის, საწერი მოწყობილობა — გვიამბობს თვითეული ჩვენგანისათვის გულით საყვარელი ადამიანის გემოვნებაზე, ჩვევებზე.

ყოველწლიურად 10 თებერვალს აქ თავს იყრიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რათა პატივი სცენ პოეტის ხსოვნას. ნელა ირხევა მუსიკის ჰანგები, და როდესაც დრო სამგლოვიარო წუთს უახლოვდება, ადამიანები ფიქრებით მიმართავენ პუშკინის გენიას, ისე ბევრი რამ რომ აჩუქა მსოფლიოს.

მუზეუმად გადაქცეული უკანასკნელი ბინა პოეტისა ლენინგრადში, სახლი მოიკის სანაპიროზე № 12-ში, სათაყვანებელი ადგილია მთელი მსოფლიოდან ლენინგრადში ჩამოსული სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისათვის. ისტორიულ ბინაზე ბევრი რამ არის გაკეთებული იმისათვის, რათა დაუბრუნდეს მას უწინდელი პუშკინისეული სახე. სასადილო, სასტუმრო, საბუფეტე მოწყობილია იმ ეპოქის ავეჯით. ბინაზე განლაგებული სამუზეუმო ექსპოზიცია წარმოდგენას გვაძლევს პოეტის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე.

აქ ბევრია პირვანდელი იშვიათი პორტრეტები პუშკინისა და მისი მახლობლებისა. აქ ფიქრით გადადიხარ პუშკინის ეპოქაში, და განსაკუთრებით ნათლად გაიცდი პუშკინის ცხოვრების დიდსა და მშვენიერს გმირობას, პუშკინისას, რომელიც იყო არა მარტო გენიალური ეროვნული პოეტი, არამედ აგრეთვე ისტორიკოსი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ვის ბრძნულ თავისუფლებისმოყვარეულ შემოქმედებას სიყვარულით ეკიდებოდა და მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი, ვისი ნათელი სახე ცოცხლობს დღეს საბჭოთა ადამიანების გულში.

თანაბარი ნათელი შუქი ეცემა ძველ ქალაღდის ფურცელზე, რომელიც დაფარულია ნაცნობი ხელნაწერით. სტრიქონთა შორის კალმით ნახატია, რომელიც გამოსახავს ვიღაცის ცხვირაპრეხილ პროფილს. ტექსტის გარჩევისას შეიძლება გამოიცნო პუშკინის ცნობილი ლექსი „თავისუფლება“, დაწერილი ახალგაზრდა პოეტის მიერ ჯერ კიდევ 1817 წელს — ოდა, რომელაც უდიდესი გამარეოლუციერებელი გავლენა ჰქონდა რუსეთის საზოგადოებრიობის მოწინავე წრეებზე. ხოლო ავტორის ხელით გამოსახული ცხვირაპრეხილი კაცი პავლე I.

ჩხაკუნებს ზეგით მტატვეზე დამაგრებული ფოტოაპარატის სახელური. ახლა უკვე ტექსტი მტკიცედ არის ჩაბეჭდილი ფირზე და მის ნაცვლად ობიექტივის ქვეშ იდება სხვა პუშკინისეული ავტოგრაფი.

ლენინგრადში, პუშკინის სახლში —ასე ეწოდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტს, შექმნილს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დიდი პოეტის პატივსაცემად, — ფაქიზად ინახება ყველა მისი ხელნაწერი.

მაგრამ რას წარმოადგენს ეს ფონდი? განსაკუთრებულ ოთახში მინის ქვეშ ინახება ჩვენთვის ცნობილი ყველა ნაწერი პოეტისა. მათი რიცხვი შვიდასს აღემატება. მაგრამ ამათ გარდა აქ მოთავსებულია შავად ნაწერი რვეულები და გადათვალიერებული ეგზემპლარები ბევრი ნაწარმოებისა, კერძოდ, თითქმის მთელი „ევგენი ონეგინისა“, აგრეთვე „ბრონჯაოს მხედრისა“, „ბოშებისა“, „პოლტავისა“. ცალკე საქაღალდეშია — მასალები „პუგაჩოვის ისტორიისათვის“. პუშკინის ერთ-ერთ ადრინდელ რვეულში, რომელიც მას თავისი ლიცეუმისდროინდელი ლექსები შეჰქონდა, არის ჩანაწერები, გაკეთებული კიუხელბეკერის, ილიჩოვსკის, დელვიგის, პუშჩინის მიერ.

ქრონოლოგიურად ეს კრებული იხსნება პუშკინის მეტრიკული ამონაწერით და მთავრდება ანონიმური წერილით, რომელმაც დუელი გამოიწვია, დოკუმენტებით თვით დუელის შესახებ, მეურვეობის შესახებ. სულ პუშკინის ფონდში ითვლება 11 ათასზე მეტი ფურცელი.

ამას გარდა, პუშკინის სახლში ინახება პოეტის პირადი ბიბლიოთეკა, სადაც ათობით წიგნია, რომლებსაც აქვს პირადი შენიშვნები და ჩანაწერები. აქ შექმნილია აგრეთვე პუშკინის კაბინეტი, არის პუშკინის სიცოცხლეში გამოცემული ყველა მისი ნაწარმოები, ყველა შემდგომი გამოცემები რუსულ ენაზე, სსრ კავშირის ხალხთა ათობით ენაზე. რუსი პოეტის საყოველთაო დიდებაზე წარმოდგენას გვაძლევს ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია მსოფლიოს ხალხთა 110 ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებების გამოცემები. აქვეა მასალები პუშკინის —ეტრანლისტის, კრიტიკოსის, გამომცემლის მოღვაწეობაზე. კაბინეტში არის აგრეთვე თავისებურად ერთადერთი კოლექცია გაზეთების ამონაკრებისა, პუშკინის შესახებ რუსულ და უცხოურ ენებზე, რომლებიც გროვდება გასული საუკუნის ოთხმოცდაანი წლებიდან დაწყებული.

„ღირსშესანიშნაცია, რომ ერთადერთი უცხოელი მწერალი, რომელსაც ჩანეთის მიწაზე უდგას ძეგლი, პუშკინია“ — ეამი სიაოს ეს სიტყვები მოყვანილია შანხაში აღმართული დიდი რუსი პოეტის ქანდაკების ფოტოსურათის წარწერის სახით.

ჩინეთში დიდი რუსი პოეტის ფართო პოპულარობის დადასტურება გამოიხატა პუშკინის მუზეუმის საკავშირო გამოფენაზეც, რომელიც ასახავდა მის თვალსაჩინო როლს საბჭოთა და უცხოთის კულტურაში. ასობით ექსპონატის დათვალიერებისას მნახველები თვალსაჩინოდ რწმუნდებიან, რომ პუშკინის დიდება ანათებს მთელ მსოფლიოში.

ძნელია ისეთი ქვეყნის დასახელება, საიდანაც ლენინგრადში არ იგზავნებოდეს პოეტის ნაწარმოებთა ახალი თარგმანები, მისი ქმნილებების ილუსტრაციები, სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები. ნიუ-იორკიდან მიღებულია მასალები „ევგენი ონეგინის“ სცენიურ დადგმაზე, ვარშავიდან გამოგზავნილია პოლონელი მხატვრების ახალი ილუსტრაციები პუშკინის ნაწარმოებებისათვის.

ერმიტაჟის შენობაში მოთავსებული ამ მუზეუმის 17 დარბაზში მუდამ ხალხმრავლობაა. აქ გამოფენილი მასალები ყოველმხრივ ასახავენ დიდი სახალხო პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნი შეიცავს მრავალ ათას ჩანაწერს, რომლებიც გამოხატულია პუშკინისადმი სიყვარული და პატივისცემა. აქ ნამყოფი ეთიოპიის დელეგაცია. დიდი ყურადღებით ათვალიერებდნენ მისი წერები ყველაფერს, რაც კი ეხება პუშკინის წინაპარს აბრამ პეტრეს-ძე ჰანიბალს, რომელიც წარმომობით ეთიოპიიდან იყო და გახდა თვალსაჩინო სამხედრო სპეციალისტი და სახელმწიფო მოღვაწე რუსეთში.

ჰანიბალის შვილის ოსიპის ქალიშვილი, როგორც ცნობილია, იყო დედა ა. ს. პუშკინისა, რომელაც დღეს ესოდენ დიდ ბატეს სცემს აფრიკელი ხალხი. ამაზე ლაპარაკობდნენ სტუმრები ეთიოპიიდან.

ლენინგრადში, ქალაქში, რომელიც გაწყოფილია პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისაგან, პუშკინის დღეები ფართოდ და საზეიმოდ აღინიშნება. ფუელის ადგილას დაიდგმება მემორიალური დაფები, ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის აკადემიურ თეატრში შედგება საერთო-საქალაქო კრება. გაიხსნება პუშკინისადმი მიძღვნილი მორიგი XIV საკავშირო კონფერენცია და გაიმართება ლიტერატურათმცოდნეთა და მწერალთა კრება, რომელზეც მოხსენებებით გამოვლენ საბჭოთა პუშკინმცოდნეები. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მზადდება სპექტაკლები, კონცერტები, საღამოები, ბიბლიოთეკებში, კულტურის სასახლეებსა და სახლებში ეწყობა წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენა. ათასობით ლენინგრადელი — ჩამოსული იმოგზაურებს პუშკინის ადგილებში, ნახავს ქალაქ პუშკინს, დაათვალიერებს ლიცეუმს, კიტაევის პარკსა და სახლს, სადაც ერთ დროს ცხოვრობდა პუშკინი.

პუშკინის დღეები დიდ საყოველთაოსახალხო დღესასწაულს წარმოადგენს.

ო. ჯარიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ძ. ლენინგრადი.

სურათებზე: ა. პუშკინის ნაწარმოებების (მარცხნიდან) „კავკასიის ტყვის“, „დუბროვსკის“, „ევგენი ონეგინის“, „ბორის გოდუნოვის“, „კაპიტანის ქალიშვილის“ „ბრონჯაოს მხედრის“ ილუსტრაციები.



პუშკინის ქეგლთან...

მოსკოვში ვიდექი პუშკინის ძეგლთან. ბეჭედივერ მინახავს იგი წვიმაში და დარში, ღრუბლით და ღამით. ყოველთვის მიმზიდველია. მაშინაც კი ლამაზად მეჩვენა, როცა სალაღობო შემთხვევამ დატოვესა მარგუნა.

ოცდაათიანი წლის თოვლიან ღამეს ნიშნეულად მივემართებოდი პოეტის ზეაღმართული აჩრდილისაკენ. ვიცი, აქ უნდა იყოს ძეგლი, მაგრამ ვერსად ვამჩნევ თეთრად შემოსილ ქუჩაში.

—ბოდიში, ხომ ვერ გეკითხოთ, სად არის პუშკინის ძეგლი? — მივმართე ორი ქუჩის კუთხეში მდგომ მოხუც მოსკოველს, რომელსაც ხელში თავმოკუჭეული ჯოხი ეჭირა და თოვლზე ზრის მოხაზვით ერთობოდა.

— ვერ ხედავს ფრინველი ძეგლს, — ღამტია და ჯოხი მომიღერა (ეგონა ვემასხრებოდი!). ჩანს, მალე სხვა ფერმრმა გაუელვა და ჯოხი ჰაერში გაუშვიდა...

— ესეც თქვენ პუშკინის ძეგლი! — ამჯერად თითქოს მონანიების კილოთი წარმოთქვა და დაბლა ჩამოუშვა ჯოხი, რომლის წვერი ქანდაკებად ჩამოსხმული პოეტისაკენ ქონდა მიმართული.

დიდხანს ვათვალიერე იგი. შემდეგაც მრავალგზის მინახავს ეს ძეგლი. ყოველთვის ლამაზია. მაგრამ რატომღაც ყველაზე წარმტაცად, ფერადოვნად მეჩვენა ოცდაათიოდე წლის შემდეგ მოსკოვური სანთლის ზღვაში. იქნებ იმიტომ, რომ მანქანათა მძლავრი ნათურების შუქზე ფორაკებიანი ტალღები ანატფებდნენ მას. შესაძლოა იმისათვის, რომ უცნობი გამომეცხადა და მითხრა:

— დაერწმუნდი, გყვარებიათ პუშკინი.

— რითი დარწმუნდით?

— დიდი ხანია უმზერთ, სიყვარულით ეცქერით... ესეც საბუთია!

ძეგლს გარშემო შემოუარა, ჩემსავით ცნობისმოყვარე მაცქერლებს გამოელაპარაკა და ისევ ჩემთან მოვიდა.

— მე პუშკინის მკითხველებს ვსწავლობ ყველა ეთნარებაში, — კვლავ შემეხმაურა.

და მრავალი კითხვა მომცა. გამომკითხა ის ადგილები, სადაც პუშკინი არზრუმში მოგზაურობის დროს საქართველოში იყო. პუშკინმცოდნე არ დამზარდა ბევრ ჩემს კითხვაზეც გაეცა პასუხი.

პირველ ყოვლისა დავინტერესდი საიდან წარმოსდგა პოეტის გვარი.

— ო, ეს მეტად შემეცნებითი კითხვაა, — მიპასუხა, — მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელია ამომწურავი პასუხის გაცემა. ცნობილია მხოლოდ, რომ პოეტის წინაპრის ნოვგოროდელი რაინდის გავრილო ოლეკსიჩის ერთ-ერთ მემკვიდრეს „პუშკა“ ერქვა მეტსახელად, გრიგოლ პუშკა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა და სწორედ მაშინ გამოჩნდა რუსეთში პირველი ქვემეხები. უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლ პუშკას წყალობით მიიღეს მისმა შთამომავლებმა პუშკინის გვარი.

შემდეგ ამ უკანასკნელთა ირგვლივ ჩამოაგდო სტყუა. ჭეშმარიტად ღირსსამახსოვრო იყო ეს ნაამბობი. მეხსიერებაში აღიბეჭდა მონათხრობი პოეტის უფროს ვაჟიშვილზე ალექსანდრეზე. დაასახელა ნარვის ჰუსართა ცხენოსანი ეგეონი კვიმატი მეცამეტე ნომრით (აქ გულანად გაიცინა მან!).

—ეს ნომერი კი, — ხაზი გაუსვა მან,— ხელს როდი უშლიდა კარგი საბრძოლო ტრადიცია გამოვლენებინათ ჰუსარებსა და მათ მეთაურს პოლკოვნიკ ალექსანდრე პუშკინს. მას ქუბით იხსენებს მაშინდელი ისტორიკოსი. პუშკინის მეთაურობით რუსი ჯარისკაცები მუსრავდნენ თურქებს 1877-1878 წლებში. როცა პოეტის შვილი ბულგარეთს ათავისუფლებდა, გენერალ მიხეილ ამირაჯიბის ჯარისკაცები მტერზე გამარჯვებას ზეიმობდნენ ატანაანსა და ყარსში. იქნებ გაეგონა კიდეც ქართველი მეთაურის სახელი რუს წინამძღოლს. ეს ვერ დაადასტურა პუშკინმცოდნემ. ჰუსარებმა და მათმა მეთაურმა „1877 და 1878 წლების თურქეთის ომში თავის გამოჩენის“ ნიშანი დაიმსახურეს. მამაცი პოლკოვნიკი ოქროს ხმლით დაჯილდოვეს.

მას 11 ქალ-ვაჟი ჰყავდა...

მეორე სამამულო ომის დაწყებამდე ჩვენს ქვეყანაში ა. ს. პუშკინის ორმოცდაათზე მეტი შთამომავალი ცხოვრობდა. ათი მათგანი ფრონტებზე მუსრავდა ფაშისტ არამზადებს. პოეტის შვილისშვილის შვილი გრიგოლ პუშკინი ჯერ კიდევ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისას დავაყაკადა.

მის გარდა დიდი წინაპრის ხსოვნას გულში მოწიწებით ატარებენ სერგი დ ბორის პუშკინები, ალექსანდრე პესნიაჩევსკი, სერგი კლიმენკო, ალექსანდრე დანილევსკი, მარინე ჩალიკი, ალექსანდრე და ოლგა კოლოგრივოვები. ისინი ომობდნენ ზღვაზე და ჰაერში, ხმელეთზე. და ტყეებში. იბრძოდნენ იმ სამშობლოს ღირსებისათვის, რომლის შვილი მათი დიდი წინაპარი იყო. როცა სერგი და ბორის პუშკინები ფრონტზე იმობდნენ, ოჯახი მოწიწებით ინახავდა იშვიათ სამკაულს — მგოსნის პირად ბეჭედს. თაობიდან თაობას გადმოეცა ამბავი იმის შესახებ, რომ ბეჭედი პუშკინს უსახოვრა მარიამ ვოლკონსკაიამ ციმბირში გადასახლებულ დეკაბრისტ ქმართან გამგზავრების წინ. სერგომ და ბორისმა ერთ დღეს ჩაიცვეს მეომრის სამოსელი. პირველი თვითფრინავით, მეორე კი ქვემეხით ომობდა.

ორივემ ომის შემდეგ დაამთავრა ინსტიტუტი და ინჟინრები გახდნენ.

ალექსანდრე დანილევსკის პიროვნების დასახასიათებლად შემდეგი ფაქტების აღნიშვნა იკმარა: ორი ორდენისა და ხუთი მედლის მფლობელია. მტრის ტრდოებისაგან დაიცვა ლენინგრადი და 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი გმირ ქალაქშიეე გახდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ასე გავეცანი პუშკინის ძეგლთან „ბრონჯაოს მხედრისა“ და „ევგენი ონეგინის“ შთამომავლებს. პოეტის საიუბილეო ზეიმის დღეებში სიამოვნებით ვიგონებ დიდებულ ქანდაკებასთან გატარებულ წუთებს...

ი. ჯავახიშვილი.

კომპოზიტორი და მოქალაქე

იონა ტუსკიას დაბადების 60 წლისა და მუსიკალური მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო

უფროსი თაობის ქართველ კომპოზიტორთა მოღვაწეობა იმით როდი განისაზღვრება, რომ მათ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ეროვნულ სიმფონიურ კულტურა უკვდავი სიმღერა, სარომანსო და საგუნდო ქმნილებებით გაამდიდრეს, ფრიად მნიშვნელოვანია მათი ღვაწლი იმ მხრივაც, რომ თავიანთი ნაყოფიერი, ერისათვის სასარგებლო საქმიანობით არაერთი ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდას შეახეხეს ფრთები, წაახალისეს, დიდ ხელოვნებას აზიარეს და მშობლიური მუსიკის ასპარეზზე სამოღვაწეოდ გზა დაუსვეს.

ასეთ ახალგაზრდა მუსიკოსთა შორის იყო სახელმოხვეჭილი კომპოზიტორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იონა ირაკლის-ძე ტუსკია, რომლის დაბადების 60 წლისთავს გულწრფელი პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს დღეს მაღლიერი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ორმოცი წელია, რაც ი. ტუსკია კალმით თუ სიტყვით, უანგაროდ ემსახურება ქართული მუსიკის განვითარების საქმეს. კლასიკოს კომპოზიტორთა ჯანსაღი, რეალისტური ტრადიციების ერთ-ერთი გამგრძელებელი, ფართო ზოგადკულტურული თვალსაწიერისა და დაბეჭნილი მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების მქონე ხელოვანი, იგი წელთა მანძილზე გვიზრდის ნიჭიერ მუსიკოსთა ეროვნულ კადრებს. იონა ტუსკიას, როგორც დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე უანგარო და პრინციპულ ხელოვანს, სერიოზულ ანგარიშს უწევენ ჩვენში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

იონა ირაკლის-ძე ტუსკია დაიბადა 1901 წლის 24 დეკემბერს ქალაქ ოზურგეთში (ამჟამად ქ. მახარაძე). ტუსკიათა ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ხალხური სიმღერის გამოჩენილი ოსტატები: ანტონ და დავით დუმბაძეები, სამუელ ჩავლეიშვილი, სიმონიშვილი, არტემ და ლადო ერქომაიშვილები, რომელთა შეხმატკბილებული, სიმღერა-გალობა მომავალი კომპოზიტორის ბავშვობის წლების უძლიერეს მუსიკალურ შთაბეჭდილებათა წყაროდ იქცა.

1918 წელს ი. ტუსკია თბილისში გადმოიყვანეს, სადაც მან დაასრულა სამუალო განათლება, რის შემდეგ, მუსიკით გატაცებული ახალგაზრდა, თბილისის კონსერვატორიაში შევიდა. აქ იგი მეცადინეობდა ვიოლინოს კლასში პროფესორ ვასილიევთან, ხოლო კომპოზიციასა და ინსტრუმენტოლოგიაში — გამოჩენილ რუს კომპოზიტორსა და პედაგოგთან მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვთან.

ტუსკიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გადაამუშავა და ორკესტრზე გადმოიღო ორი ხალხური სიმღერა — „ბროლის ყელსა“ და „მივალ გურიაში“ (დუტი). 1922 წელს, სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად, ი. ტუსკია აარსებს „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებას“, რომელთანაც ჩამოყალიბდა ჯერ სიმღერანი, ხოლო შემდეგში, — მთლიანი სიმფონიური ორკესტრი.

უნდა ითქვას რომ იმ დროს ასეთი მხატვრული კოლექტივის შექმნა უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო, რადგან მანამდე ჩვენში დამოუკიდებელი, და, ისიც, ქართველ მუსიკოსებისაგან შემდგარი სიმფონიური ორკესტრი არ არსებობდა. ამ ორკესტრს 1923 წლიდან სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ვანო ფალიაშვილი. ამავე ორკესტრის საფუძველზე, აკაკი ფაღავას ინიციატივით, დაარსებულ იქნა პირველი ქართული სოატორო სტუდია, რომელმაც, ახალგაზრდა ქართველი მომღერლების ძალით, ბრწყინვალედ დადგა არაერთი სოატორო ნაწარმოები, ერომა მაგალამა — ჩიმაროზას „საიდუმლო ქორწინებამ“ — კ. სტანისლავსკის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ეს ორკესტრი გადაიქცა ეროვნულ კომპოზიტორთა ნამდვილ კერად: მის წიაღიდან გამოვიდნენ ორკესტრის ყოფილი მონაწილენი, ამჟამად ცნობილი კომპოზიტორები — შ. თაქთაქიშვილი, ვ. გოკიელი, გრ. კილაძე და სხვ. იონა ტუსკიამაც, როგორც ამ ორკესტრის აქტიურმა მონაწილემ და დირიჟორმა, პირველად აქ დაიწყო თავისი სიმფონიური მოღვაწეობა. 1922 წელს მან დაწერა ერთნაწილიანი პიესა „ჩელა“, სიმფონიური ორკესტრისათვის (არსებობს იგივე პიესა სიმფონიური კვარტეტისათვის), რომელიც დღემდე წარმატებით სრულდება.

1926 წელს ი. ტუსკიამ დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და, კოტე მარჯანიშვილის მოწვევით, მუშაობა დაიწყო თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ. არაერთი სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკით ი. ტუსკიამ საგრძნობი წვლილი შეიტანა სახელოვანი თეატრის მხატვრულ წარმატებებში.

რამოდენ დიდი იყო ი. ტუსკიაში საკუთარ თავისადმი მომთხოვნელობა, ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ იგი 1928 წელს კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ლენინგრადს გაემგზავრა, სადაც მან 1931 წელს დაამთავრა საკომპოზიტორო ფაკულტეტი და პროფესიულად კიდევ უფრო დაოსტატებული დაბრუნდა სამშობლოში. 1932 წლიდან ფართოდ იშლება მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. 1932-38 წლებში ტუსკია ეწევა პედაგოგიურ მუშაობას და სათავეში უდგას თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრას.

მის მოწაფეთა შორის აღსანიშნავნი არიან: თ. შავერზაშვილი, რ. გაბიჩავაძე, გრ. კოკელაძე, ო. გორდელი, ს. ნასიძე, ტ. ბაქრაძე, დ. ჩხეიძე, დ. ხახნოვი და სხვ. 1948-50 წლებში ტუსკია თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1957 წლიდან დღემდე — კონსერვატორიის რექტორი.

ჩვენი იუბილარის შემოქმედება, რომელიც სიმფონიურ, საოპერო, კამერულ-ინსტრუმენტულ და სასიმღერო ჟანრებს მოიცავს, გამსჭვალულია გულთბილი ლირიზმით, რეალისტურობით, ხალხური სამუსიკო შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირით. ნათლად გამოკვეთილი მელოდიურობა, ხალხი ეროვნული იერი, გამოთქმის უშუალობა და მხატვრული ზომიერების დაცვა — აი რა ახასიათებს ი. ტუსკიას მუსიკას, დაყრდნობილს მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე.

ფორმალიზმითა და სხვადასხვა ჟურის მოდერნისტულ მიმდინარეობებით გატაცების წლებში იგი მტკიცედ იცავდა რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპებს საბჭოთა მუსიკაში. ამავე დროს ი. ტუსკია დღესაც სიხარულით ეგებება ყოველივე ახლებურს, ნოვატორულს, თუ კი ეს ნაკარნახევია ნაწარმოების იდეური შთანაფიქრით, შინაარსის სიახლითა და მნიშვნელობით.

კომპოზიტორი გვევლინება ქართული კამერული, ინსტრუმენტული მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. იგი ავტორია კონცერტისა და სონატისა ვიოლინოსათვის. მის სიმფონიურ პოემაში „მავზოლეუმთან“, რომელშიც პირველადაა ჩვენს მუსიკაში გამოსახული საბჭოთა ადამიანის ფიქრები დიდ ლენინზე, კომპოზიტორმა გამოიყენა რუსული ხალხური მუსიკის დამახასიათებელი კილო — ინტონაციური მიმოქცევანი. მისი ციკვა „ქართული“, გამორჩეული სიმკვირცხლითა და ხალასი ხალხურობით, სიმფონიური სუიტა „გველის მჭამელი“ (ვაჟა ფშაველას პოემის მიხედვით), მარში და სიმფონიური პოემა „ყეენობა“ მაჩვენებელია მათი ავტორის შემოქმედებითი ოსტატობისა და ეროვნული მეობისა.

ტუსკიას ოპერა „სამშობლოდან“ დღემდე ცნობილია ცალეული, მხატვრული ღირებულებით გამორჩეული ნაწყვეტები, როგორიც არის: სოამაზის პატრიოტული „სიმღერა სამშობლოზე“ და მისივე არიოზო „, რა ტურფა ხარ“, ციცინათელას არია და გუნდები: „ვალალმე“ და „სამშობლოს არვის წავართმევთ“. ი. ტუსკიას ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე კანტატა, ცალფა და საგუნდო სიმღერები ქართველი და რუსი პოეტების ტექსტებზე.

ქართული მუსიკის განვითარებაში კომპოზიტორთა იმ თაობის ღვაწლი, რომელსაც იონა ტუსკია ეკუთვნის, იმით გამოიხატება, რომ უფროსი თაობის კომპოზიტორებისაგან განსხვავებით, ამ თაობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნული სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული და მასობრივი სიმღერის ჟანრებს და ამ მიმართულებით პირველი ღირსშესანიშნავი ნიშუშები შექმნა. ამით კი ნიადაგი მოუმზადა ეროვნული მუსიკის ამ მნიშვნელოვანი დარგების აღმავლობას.

და აი შრომაში თითქოს შეუმჩნევლად გაირბინა სამოცმა წელმა... ამ დროს სიყვარულის მოსავალს იმკიან კეთილი საქმის მხვნელ-მთესველნი. და ჩვენც გულითა და სულით ვუღოცავთ იუბილარს ამ მნიშვნელოვან თარიღს. თანაც მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ იგი შემდეგშიც, მრავალ წელთა მანძილზე, არ დაზოგავს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ქართული საბჭოთა სამუსიკო კულტურის საკეთილდღეოდ.

კაკალ ხუბუა.

ამგეგი, ფაქტეგი, ცნოგეგი

პუშკინის ხსოვნის აღსანიშნავად

10 თებერვალს სრულდება 125 წელი გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალებიდან. ჩვენი რესპუბლიკის კლუბებში, კულტურის სახლებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა პუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ამ დღეებში საქართველოს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ა. ს. პუშკინის გარდაცვალების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

გამოფენის პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია პუშკინის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი ფოტოსურათები და მხატვრული ტილოების რეპროდუქციები. აქვეა პოეტის რჩეული ნაწერების კრებულები, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

„შექსპირ სორვეი“ და ქართული შექსპიროლოგია

ინგლისური ჟურნალი „შექსპირ სორვეი“ (შექსპირის მიმოხილვა“), რომელიც კემბრიჯში გამოდის (1961, ტომი 14), აკეთებს ქართული შექსპიროლოგიის მიმოხილვას. ჟურნალი აღნიშნავს, რომ საქართველოში შექსპირს ისტორიულად სწყალობდა ბედი. ნიკო ყიასაშვილის მიერ გამოცემული ორი ტომი იძლევა გარანტიას, რომ შექსპირის კვლევა ამ ქვეყანაში კიდევ უფრო გაღრმავდება და წინ წაიწევს.

პირველი ამ წიგნთაგანი წარმოადგენს ბიოგრაფიულ-კრიტიკულ გამოკვლევას (თბილისი, 1959), რომელშიც ანალიზი აქვს გაკეთებული დრამატურგის მოღვაწეობასა და განვითარებას; მეორეში, „ქართული შექსპირიანა“ (თბილისი, 1959) მოთავსებულია უკვე გამოქვეყნებული ნაკვეთები, რომელებსაც ერთვის ზოგიერთი ახალი მასალაც. თვითონ ყიასაშვილი წერს ფალსტაფზე, გ. გაჩეჩილაძე იკვლევს შექსპირის შემოქმედებაში დემოკრატიულ ტენდენციებს, ხოლო მ. ნათაძე აღგენს მწერლის ზოგიერთ სტილურ თავისებურებას.

ტომის დიდი ნაწილი მიძღვნილია შექსპირის ქართული თარგმანებისა და მისი პიესების დადგმებისადმი. განსაკუთრებით საინტერესო მასალებია ახალ ბალეტ „ოტელოზე“. ქართველ შექსპიროლოგებს განზრახვა აქვთ განაგრძონ ამ სერიის შემდგომი ტომების მომზადება, დასძენს ინგლისური ჟურნალი.

ნ. რუხაძე.

პუშკინი საქართველოში

მხატვრები უ. ჯაფარიძე, გ. ჯაში, ა. ვეფხვაძე, მ. ხვიტია.

მეოქვიდე ოლიმპიადაზე

□ ბათუმი. (საკ. კორ.). აქ ჩამოვიდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების კომპლექსური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში არიან მომავალი ოკეანოთმცოდნეები, ნიადაგმცოდნეები და ბიოქიმიკოსები.

ისინი გაეცნობიან ბოტანიკურ ბაღს, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალს, დაკვირვებას მოახდენენ შავი ზღვის დინებებსა და მის სხვა დამახასიათებელ თვისებებზე.

□ ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სამეღვინეს და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის ქალაქებში. ანსამბლი კონცერტებს გამართავს როსტოფში, მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ბელორუსიასა და უკრაინაში. ანსამბლმა ამ გასტროლებისათვის მოამზადა სპეციალური პროგრამა — მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „აყვავდი, ჩემო ოსეთი“. რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე ბევრი ახალი ქართული, რუსული და ოსური სიმღერა და ცეკვა.

ანსამბლის ხელმძღვანელია ახალგაზრდა კომპოზიტორი ფ. ალბოროვი.

□ ლენტეხი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრ ლენტეხში ფართოდ გაჩაღდა კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური ბინების მშენებლობა. მარტო გასულ წელს აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 25 ინდივიდუალური ბინა.

ახალ წელს ახალ ბინაში შესვლენენ ავტომძღოლების ნ. ლიპარელიანისა და ნ. ზურაბიანის, კოლმეურნე ი. ლიპარტელიანის, მასწავლებელ ნ. გოცირიძისა და დამსახურებული ექიმის ე. პირველის ოჯახები.

ოლიმპიადა

„თეთრი სპარტაკიადა“

ბაკურიანი. 9 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ გრძელდებოდა საქართველოს ზამთრის პირველი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

დღის პირველ ნახევარში მოეწყო შეჯიბრება ვაქთათვის 15 კილომეტრის გადარბენაში. პირველი იყო თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენელი ე. [illegible] მორდვინოვი. დრო — 57 წუთი. მომდევნო ორი ადგილი თბილისელებმა — ნ. ტროფიმოვმა და ნ. კოზანაშვილმა მოიპოვეს.

კოხტაგორის მიდამოებში ჩატარდა შეჯიბრება ქალთათვის სპეციალურ სლალომში, რომლის დისტანცია 400 მეტრს შეადგენდა. ორი ცდის ჯამით სპორტის ოსტატმა ლ. გოგოლაძემ (თბილისი) აჩვენა დრო — 1 წუთი და 36,9 წამი და ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე და მესამე ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს ნ. ქუთუდოლლიანმა და ქ. ბაბდურმა.

ამავე დღეს შედგა შეჯიბრება 15 კილომეტრის გადარბენაში ორკეიდელებისათვის. ორკეიდში სპარტაკიადის ჩემპიონი გარ-თორმეტნახევარი ქულით გაიყვანეს ლ. ვოლკოვტმა და ა. კუშნირმა. მეხუთე ადგილზე გამოვიდა მ. ტოგონიძე (12 ქულა).

ს. როუტარეს 11,5 ქულა აქვს, კ. ზეკოლოვა — 10,5 ქულა, ვ. ბოლოტნიკოვა — 8 ქულა, ლ. ციკური — 7,5 ქულა, ე. [illegible] — 7 ქულა, მ. [illegible] — 6,5 ქულა, ა. შადურას — 5 ქულა, ო. სემიონოვას — 3 ქულა.

ჩემპიონატის მონაწილეთათვის დაწესებული იყო პრიზები. სამახსოვრო პრიზები მოიპოვეს პირველ ოთხ ადგილზე გამოსულმა მოჯადოკელებმა — ვ. ბოლოსენკომ, ტ. ზატეულოვაკიამ, ლ. ვოლპერტმა და ა. კუშნირმა. ყველაზე ლამაზი პარტიისათვის პრიზი მოიპოვა მ. ტოგონიძე ე. ბიმარდთან პარტიაში, უკეთესი ენდშპილისათვის — ლ. ვოლპერტმა ვ. კოზლოვსკაიასთან შეჯვედრაში, ყველაზე მეტი მოგებისათვის (10) — ტ. ზატეულოვაკიამ, პირველ ხუთეულში უკეთესი შედეგისათვის—მ. ტოგონიძემ, ტ. ზატეულოვაკიამ, ს. როუტარემ და ნ. ვოლკოვამ, უკანასკნელ ხუთეულში უკეთესი შედეგისათვის — ლ. ვოლპერტმა და ო. კაკოვამ, პირველთანრიგოანთა შორის უკეთესი შედეგისათვის ოსტატებთან შეჯვედრებში — ე. ბიმარდმა და მ. რანკემ, მაკვირთ თამაშში საუკეთესო შედეგისათვის — ვ. ბორისენკომ.

დღეს საღამოს შედგა გამარჯვებულთა დაჯილდოება და ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

ჩემპიონატის ალამი დაუშვეს

ერევანი. 9 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს დილით მოეწყო ქალთა საკვალიფიკაციო ჩემპიონატიდან უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ოროტარე ბრძოლით გაუახლებლად დანებდა ზატეულოვაკიას. რანიკე-ტიხომიროვა [illegible] ტატია, რომელიც რამდენჯერმე გადადო, 124-ე სვლაზე ყიმოთ დამთავრდა.

ამრიგად, შეიცვალა გათამაშების ცხრილის ყველა უკანელი, საბოლოოდ გახდაწყდა ადგილები, როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ჩემპიონი მეხუთეჯერ გახდა საერთაშორისო ოსტატი ე. ბორისენკო, რომელმაც 19 შესაძლებლიდან 13,5 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ტ. ზატეულოვაკაია (13 ქულა), მესამე და მეოთხე ადგილები თორმეტნახევარ-ექვსი ქულით [illegible] ლ. ბოლოტნიკოვამ [illegible] ... 11,5 ქულა [illegible] ... 11 ქულა [illegible] ... 10,5 ქულა [illegible] ... 10 ქულა [illegible] ... 9,5 ქულა [illegible] ... 9 ქულა [illegible] ... 8,5 ქულა [illegible] ... 8 ქულა [illegible] ... 7,5 ქულა [illegible] ... 7 ქულა [illegible] ... 6,5 ქულა [illegible] ... 6 ქულა [illegible] ... 5,5 ქულა [illegible] ... 5 ქულა [illegible] ... 4,5 ქულა [illegible] ... 4 ქულა [illegible] ... 3,5 ქულა [illegible] ... 3 ქულა [illegible] ... 2,5 ქულა [illegible] ... 2 ქულა [illegible] ... 1,5 ქულა [illegible] ... 1 ქულა [illegible] ... 0,5 ქულა [illegible] ... 0 ქულა).

გაიმართა ჰოკეისტთა 2 მატჩი. თბილისს მეორე ბოლო ადგილზე ... ჰოკეისტებს 11:1, ახალქალაქის გუნდმა — ქუთაისელებს 12:4.

გუშინ ბოგდანოვკაში დამთავრდა შეჯიბრება ჩქარსრულ ციგურაობაში. ქალებისათვის 1.000 და 3.000 მეტრზე რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისელი გ. ერლიხა. ვაჟთა შორის 1.500 და 10.000 მეტრზე რბოლაში გაიმარჯვეს ტ. ბალიაშვილმა (თბილისი) და ვ. კარლიანმა (ახალქალაქი).

სპარტაკიადის სამი დღის საერთო მაჩვენებლების მიხედვით პირველ ჯგუფში წინ არის თბილისის პირველი გუნდი, მეორე ჯგუფში — ქუთაისის გუნდი.

ეკონომიკა

ევროპის ჩემპიონთა თასზე კალათბურთში

დასასრულს უახლოვდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების წინასწარი შეჯვედრები კალათბურთში ქალთა და ვაჟთა კოლექტივებისათვის.

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ვაჟთა გუნდი (სსრ კავშირი) ბრიოლაში მეოთხედფინალიდან ჩაებმება, პირველ მატჩს არმიელი კალათბურთელები გამართავენ ჩეხოსლოვაკიის ქ. სვიტის გუნდთან — „ისკრასთან“.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი ნაცვლად „ისკრისა“, როგორც ადრე იყო ცნობილი, შეხვდება სტამბოლის საკალთბო გუნდს — „დარუსაფაკას“.

„ფლამენგოს“ იტალიელი თვალი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვლენ ბრაზილიელი ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გამართავენ საერთაშორისო მატჩებს. საბჭოთა ფეხბურთელების სტუმრები იქნებიან ცნობილი საკლუბო გუნდები — რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგო“ და „გრემიო“.

„ფლამენგოს“ ფეხბურთელები მოსკოვში, თბილისსა და ერევანში გამართავენ 4 მატჩს. ეს შეხვედრები ჩატარდება მაისში.

კეთილშობილება

მადლობის ღირსია

ამ ამას წინათ მატარებლით საჩხერიდან თბილისში ჩამოვედი. დავიქირავე ტაქსი „ვოლგა“ და მძღოლმა შინ მიმიყვანა. გადმოვიღე ჩემი ხელბარგი, მძღოლს ანგარიში გავუსწორე და წავედი. როდესაც დავბინავდი, გამახსენდა, რომ მანქანაში ხელჩანთა, დამრჩენოდა რომელშიც მქონდა 104 მანეთი ფული, ოქროსთვლიანი ბეჭედი, პასპორტი, საპენსიო წიგნაკი და სხვა. შევწუხდი, მაგრამ რაღას ვიზამდი. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ეზოში ვიღაც ჩემ გვარს კითხულობდა. სახლში ამოვიდა თმაშეკეცილი მამაკაცი და გადმომცა ხელჩანთა.

ავტომძღოლ ნიკოლოზ გიორგაძის საქციელი უდავოდ კეთილშობილურია.

თამარ გომართელი,
პენსიონერი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ნეკროლოგი

გ. ა. ბერძენიშვილი

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გრიგოლ ბერძენიშვილი.

გრიგოლ ალექსის-ძე ბერძენიშვილი დაიბადა 1909 წლის 17 ივნისს, ბათუმის გარეუბანში, ბარცხანაში. მუშის ოჯახში. მან 1927 წელს ბათუმში დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელსვე ყურნალ „ტარატარაზში“ დაიბეჭდა მისი პირველი ნაწარმოები. ამის შემდეგ გრ. ბერძენიშვილი წერდა ერთმოქმედებიან პიესებს კლუბებისათვის.

მწერლის პირველი დიდი პიესა „ოქროს ვერძი“ დაიდგა 1937 წელს თბილისის სანკულტურის თეატრის სცენაზე. მწერალი ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდული თეატრებისათვისაც. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმებოდა პიესები „ეჭარის მთებში“, „კოკლი მეწისქვალე“, „სერგო“. გრ. ბერძენიშვილმა შესამჩნევად გაამდიდრა რაიონული თეატრების, კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბების რეპერტუარი. აქ აღსანიშნავია მისი პიესები „ჩაძირული ოქრო“, „ცეცხლი“, „ჩვენი მიწა“, „დედის კერა“, „დიადი დღეები“ და სხვ.

გრ. ბერძენიშვილი 1932 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, აქ იგი კვლავ თავის საყვარელ საქმეს— თეატრალურ ხელოვნებას ემსახურებოდა. 1941 წელს, სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებში იგი კვლავ არმიის რიგებში მიდის და მონაწილეობას იღებს დიდ სამამულო ომში.

მწერლისათვის მეტად ნაყოფიერი იყო ომის შემდგომი წლები. იგი წერს მთელ რიგ პიესებს, რომლებიც იდგმება რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში, ცხინვალის, გორის, ფოთის, მახარაძის და სხვა თეატრებში. ამ პერიოდში მან დაწერა „სიყვარულის ძალა“, „მშვიდობის მტრედები“, „ყვავილობის თვე“, „ჩემი სილამაზე“, „ბედნიერებისაკენ“ და სხვ.

მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურეს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოდგენილმა პიესამ „ლერწამი ქარში“ და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ დადგმულმა „დაჭრილმა არწივმა“. საერთოდ, გრ. ბერძენიშვილის პიესები ყურადღებას იქცევენ თემატიკური აქტუალობით და მრავალფეროვნებით. მათში ასახულია საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მათი თავდადება სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დრამატურგმა უკანასკნელად დაწერა პიესა დიდი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებაზე. გრ. ბერძენიშვილი დაუღალავ შემოქმედებითს ცხოვრებას ეწეოდა, ვიდრე იგი უკურნებელმა სენმა ლოგინს არ მიაჯაჭვა. მისი სახით დავკარგეთ ნიჭიერი დრამატურგი და კეთილი გულმხურვალე ადამიანი, თავისი ქვეყნისა და ხალხის დაუცხრომელი patriotი. მისი სახელი დიდხანს არ წაიშლება მადლიერ მკითხველთა და მეგობართა გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირი,

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო,

საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

ეკონომიკა და ტექნიკა

სიცივის უნივერსალური მანქანა

დაბალი ტემპერატურებისა და მაღალი ეკონომიის მანქანა — ასე უწოდეს ტაშკენტის მეცივარკომბინატში დამზადებულ ახალ აგრეგატს. მან გამოცდის დროს მინუს 43 ხარაგუსი აჩვენა. ადრე არსებულ დანადგარებით ელექტროენერგიის ხარჯვის იმავე პირობებში ძლივს ხერხებოდა 25-27 გრადუსი სიცივის მიღწევა. ეს ორიგინალური „დაბალი ტემპერატურების ფაბრიკა“ სხვა სისტემებისაგან იმითაც გამოირჩევა, რომ შეუძლია ერთდროულად რამდენიმე კამერაში შექმნას ტემპერატურის სხვადასხვა რეჟიმი.

მანქანის ავტორმა ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელმა ა. ლავოჩკინმა აგრეგატი შექმნა მაცივარკომბინატის სპეციალისტთა ჯგუფთან შემოქმედებითი თანამშრომლობით. საქართველო გამოცდის შედეგებმა დაადასტურა, რომ ლავოჩკინის გამოგონების გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რომლებიც დაკავშირებულია დაბალ ტემპერატურებთან, ბევრად აამაღლებს სამაცივრო მოწყობილობათა ეფექტურობას, ძალიან შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯვას.

რადიოგადამცემი — ლილიპუტი

ახალგაზრდა პოლონელმა ინჟინერმა, ვროცლავის ელექტრომოწყობილობის ქარხნის თანამშრომელმა სტანისლავ ოფენოვსკიმ დაამზადა ნახევარგამტარებზე მომუშავე რადიოგადამცემი, რომლის ზომაა 15X12X3 მილიმეტრი და წონა 25 გრამი. გადამცემი გათვალისწინებულია ტურბოგენერატორების მუშაობის დროს ტემპერატურის მდგომარეობის შემოწმებისათვის. ეს პაწაწინა აპარატი უტყუარ ცნობებს იძლევა აგრეგატში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ახალგაზრდა მეცნიერის მოხსენებამ ევროპის გამოჩენილ სპეციალისტთა ღიდიესი ინტერესი გამოიწვია.

მეცნიერება და ტექნიკა

მსიარული არქივი

„მეფის ეროვნიცია“

1853 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა ამერიკაში საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე მიეგზავნინა დიდი მეცნიერი აკადემიკოსი გამელი. განაწესების მინისტრის მეგობარმა ა. ნოროვმა ამის თაობაზე მოახსენა მეფეს, რომ გამელი გაეგზავრება ამერიკაში „ბელეთზე, ზღვებსა და მდინარეებზე გალვანური დენის საშუალებით ტელეგრაფიულ გადაცემთა სისტემის“ გასაცნობად.

მოხსენებით ბარათზე ნიკოლოზ პირველმა საკუთარი ხელით დადო რეზოლუცია: „თანახმა ვარ, მაგრამ საიდუმლო მიწერილობით დავავალოს არ გაბედოს ამერიკაში საგვიბად ადამიანის ხორცის გამოყენება, რაზედაც ჩამოართვით ხელწერილი და წარმომიდგინეთ პირადად“.

მეცნიერი იძულებული გახდა ღამორჩილებოდა მეფის ასეთ უგუნურ ბრძანებას. 1853 წლის 24 აპრილს აკადემიკოსმა გამელმა დაწერა ასეთი ხელწერილი.

როგორც ჩანს, ნაკლებად ერუდირებულმა ნიკოლოზ პირველმა ერთმანეთში აურია ამერიკა და აფრიკა და, მსოფლიოში ცნობილი რუსი მეცნიერი და პირველყოფილი ველური ადამიანი.

ამინდი ჩვენს პლანეტაზე

ამ კვირას ევროპის თითქმის მთელ კონტინენტზე ძალიან ცივა. ტემპერატურამ ხანგრძლივ საშუალოზე 6-10 გრადუსით დაბლა დაიწია. ეს გამოიწვია სიცივის უჩვეულოდ მძლავრმა ტალღამ. იგი სწრაფად გავრცელდა ბარენცის ზღვიდან შავ და ხმელთაშუა ატლანტიკის ოკეანემდე. ღამით მოწმენდილი ცის დროს სწორ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ ზოლში თერმომეტრი 32 გრადუს ყინვას აჩვენებდა, ხოლო დღისით — 20 გრადუსს.

უკრაინაში სიცივის შემოჭრას თან სდევდა ძლიერი ქარი და ქარბუქი. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თოვს. ასევე ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. იუგოსლავიაში დაირღვა ყველა სახის ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა. დიდი თოვლი მოვიდა იტალიაში, კუნძულ სიცილიის მახლობლად და ალეკრიშიც კი, სადაც 2 თებერვალს თოვლი ჭექა-ქუხილმა და სეტყვამ შეცვალა.

სიცივის საწინააღმდეგოდ ატლანტიკიდან ძალიან თბილი ჰაერი დაიძრა. იგი ციკლონს მოჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ირლანდიაში ღრუბლიან ამინდშიც თერმომეტრი 11 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

ყინვებიანი მნიშვნელოვანი შესუსტება მოხდა ჩვენი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში და განსაკუთრებით ცენტრალურ რაიონში. ამჟამად აქ მშვიდი, სასიამოვნო ყინვაა მინუს 10 გრადუსამდე. ეს ტემპერატურა ხანგრძლივ საშუალო ნორმაზე მაღალია. უნიშვნელო ყინვებია უმეტესად დასავლეთ ციმბირსა და ყაზახეთში.

სამხრეთის ქარს მცირე აზიიდან კვლავ მოაქვს სითბო კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. ბათუმში ბლუს 20 გრადუსია, ამდენივე სამხრეთ თურქმენეთში.

ყველაზე მწვავე სიცივე საბჭოთა კავშირში და ალბათ მთელ დედამიწაზე, აღინიშნა ვერხოიანსკის (იაკუტია) მახლობლად. იქ თერმომეტრი ღამით მინუს 52 გრადუსს უჩვენებს. ასეთი სიცივე ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთშიც კი არ არის — გუძონის ყურეში მინუს 40 გრადუსია.

ბობოკრობს ატლანტიკა, ნორვეგიისა და ბარენცის ზღვები, სადაც ქარის სიძლ